საქართველოს შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის სატენდერო
კომისიის სხდომის
ოქმი №3

ქ. ბათუმი 9.01. 2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: *პოლიციის პოლკოვნიკი ლაშა გოგნიაშვილი* –საქართველოს შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი;
კომისიის წევრები:
პოლიციის პოლკოვნიკი რესან კონცელიძე - დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;
პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი გიგლა მოსიძე - დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;
პოლიციის მაიორი - რუსლან იოსელიანი - ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს უფროსი;
პოლიციის პოლკოვნიკი გოჩა კონცელიძე - საორგანიზაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;
სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ს. ბეჟანიძე; ს. ჩაგანავა

დღის წესრიგი

საქართველოს შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის მიერ შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის და გურიის პოლიციის დეპარტამენტის ობიექტების და მიმდებარე ტერიტორიების (ეზო) დასუფთავების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ერთობლივ ელექტრონულ ტენდერზე (**SPA160030276**) შპს "ხარიზმა"-ს მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დაზუსტებული ინფორმაციის და კორექტირებული ფასების ცხრილის განხილვა.
მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრის სოფიკო ჩაგანავას ინფორმაცია, რომლის თანახმადაც საქართველოს შსს აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის 2016 წლის 29 დეკემბრის N3236666 წერილის პასუხად შპს „ხარიზმა"-მ მოთხოვნილ ვადაში ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთა დაზუსტებული ინფორმაცია 2014-2016 წლებში ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ - ხელშეკრულებები შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით და კორექტირებული ფასების ცხრილი ერთიან ელექტრონულ სისტემაში ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის 269900.00 (ორასსამოცდაცხრაათას ცხრაასი) ლარის შესაბამისად.

განიხილეს:
სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-12 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად სატენდერო კომისიამ განიხილა შპს „ხარიზმა"-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. განხილვის შედეგად სატენდერო კომისიის წევრებმა განაცხადეს:
- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია 2014-2016 წლებში ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ, კერძოდ ხელშეკრულებები შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.
- წარმოდგენილი ფასების ცხრილი კორექტირებულია ერთიან ელექტრონულ სისტემაში ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის 269900.00 ლარის შესაბამისად (269899,87 ლარი), თუმცა არ არის გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციით და სატენდერო კომისიის სხდომის N 2 ოქმით მოთხოვნილი პირობა, კერძოდ დაზუსტებულ ფასების ცხრილშიც გურიის პოლიციის დეპარტამენტის ობიექტების დასუფთავების ღირებულება აღემატება სატენდერო დოკუმენტაციით და დასუფთავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების ერთობლივად განხორციელების შესახებ საქართველოს შს მინისტრის 2016 წლის 5 დეკემბრის N680 ბრძანებით გათვალისწინებულ ღირებულებას. დაზუსტების შემთხვევაშიც 68159 ლარის ნაცვლად შემოთავაზებულია 95655,36

ლარი. რაც ეწინააღმდეგება სატენდერო დოკუმენტაციის პირობას, კერძოდ პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე უნდა მოხდეს შპს „ხარიზმა"-ს დისკვალიფიკაცია სატენდერო პროცედურებიდან.

სატენდერო კომისიამ ტენდერის პროცედურიდან და სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-12 მუხლის მე-19 პუნქტის საფუძველზე განიხილა შემდეგი დაბალი ფასის (288 500.00 ლარი) მქონე შპს „დრ. როდგერ სერვის მენეჯმენტი"-ს მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. განხილვის შედეგად სატენდერო კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილი

- მომსახურების გაწევის პირობები (დანართი N2)
- მომსახურების სპეციფიკაცია (დანართი N3)
- რეკვიზიტები (დანართი N4)
- სარეკომენდაციო წერილი შემსყიდველი ორგანიზაციებიდან მიმწოდებლის მიერ 2014-2016 წლების განმავლობაში ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ
- ინფორმაცია 2014-2016 წლებში ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ - ხელშეკრულებები შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურებით

შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

შპს „დრ. როდგერ სერვის მენეჯმენტი"-მ ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასის 288 500.00 (ორასოთხმოცდარვაათას ხუთასი) ლარის შესაბამისად კორექტირებული ფასების ცხრილი, სადაც მე-5 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება დაანგარიშებული უნდა იყოს 1 თვეზე და შემდეგ 12 თვეზე და გათვალისწინებული უნდა იყოს აჭარისა და გურიის პოლიციის დეპარტამენტის ობიექტების დასუფთავების სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ღირებულებები.

ასევე სატენდერო კომისიის წევრების მიერ აღინიშნა, რომ პრეტენდენტმა ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 1 სექტემბრის N2498-ე განკარგულება, რომლითაც დასტურდება თეთრ სიაში შპს „დრ. როდგერ სერვის მენეჯმენტი"-ს დარეგისტრირება; სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-21 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების შესაბამისად უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია იმ შემსყიდველ ორგანიზაციებთან, რომელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ან/და აღემატება 200000.00 (ორასიათასი) ლარს, ნაცვლად სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს ოდენობით ხელშეკრულების ღირებულების 1 %-ს ოდენობით.

დაადგინეს:

1. ელექტრონულ ტენდერში **(SPA160030276)** მონაწილე შპს „ხარიზმა"-ს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს;
2. სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუქნტის შესაბამისად მოხდეს შპს „ხარიზმა"-ს დისკვალიფიკაცია;

3. ელექტრონულ ტენდერში (**SPA160030276**) შპს „დრ. როდგერ სერვის მენეჯმენტი"-ს მიერ ატვირთული სატენდერო წინადადება შეესაბამება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

4. სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შპს „დრ. როდგერ სერვის მენეჯმენტი"-მ 4(ოთხი) სამუშაო დღეში უზრუნველყოს იმ შემსყიდველ ორგანიზაციებთან, რომელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ან/და აღემატება 200000.00 (ორასიათასი) ლარს, საბანკო გარანტიის (ხელშეკრულების ღირებულების 1 %-ს ოდენობით) წარმოდგენა და გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები. ამასთან მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ტენდერისათვის სტატუსის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება" მინიჭების მომდევნო 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში დაუშვებელია ხელშეკრულების დადება;

5. სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-21 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების შესაბამისად შპს „ „დრ. როდგერ სერვის მენეჯმენტი"-მ როგორც თეთრ სიაში დარეგისტრირებულმა ორგანიზაციამ წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 1 %-ს ოდენობით.

6. სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-12 მუხლის მე-10 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად შპს „დრ. როდგერ სერვის მენეჯმენტი"-მ 3 (სამი) სამუშაო დღეში, რომელიც ითვლება ხელშეკრულების დადებისათვის განსაზღვრულ ვადაში, ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს დაზუსტებული ფასთა ცხრილი, ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასის 288500.00 (ორასოთხმოცდარვაათას ხუთასი) ლარის შესაბამისად.

7. შპს „ხარიზმა"-ს და შპს „დრ. როდგერ სერვის მენეჯმენტი"-ს გაეგზავნოს წერილი ერთიან ელექტრონულ სისტემაში მითითებულ ელ. ფოსტის მისამართზე

8. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს წინამდებარე ოქმის და შეტყობინების შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

კომისიის თავმჯდომარე: *ლაშა გოგნიაშვილი*

კომისიის წევრები: *რესან კონცელიძე*

გიგლა მოსიძე

რუსლან იოსელიანი

გოჩა კონცელიძე

აპარატის წევრები: ს. ბეჟანიძე

ს. ჩაგანავა